

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ქუთაისის უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ეკონომიკის დეპარტამენტი



ს ა მ ა გ ი ს ტ რ ო პ რ ო გ რ ა მ ა

საბუღალტრო აღრიცხვა და
აუდიტი

ქუთაისი
2011

სწავლების საფეხური

მაგისტრატურა

სწავლების ენა

ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბუღალტრო აღრიცხვაში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის #3 ბრძანებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედებს თანამედროვე საკრედიტო სისტემა, რომელიც ეფუძნება ამერიკული და ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილებას.

კრედიტების დაანგარიშების საფუძვლად აღებულია ევროპული სისტემა (ECTS):

1 კრედიტი = 25 ასტრონომიული სთ-ს.

პროგრამის მთლიანი მოცულობა არის 122 კრედიტი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატის წარმოდგენა და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ წერილობით გამოცდაში დადებითი (მინიმალური 51 ქულა) შეფასების მიღება.

ქუთაისის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურაში მიიღებიან:

1. საქართველოს ყველა აკრედიტებული (არაკრედიტებული 2006-2007 ს/წ-ის ჩათვლით) უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული ბაკალავრები, ან ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლების მქონე პირები;
2. უმაღლესი განათლების მქონე უცხოეთის მოქალაქეები.

სფეროს აღწერა

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ აუცილებელი გახადა აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის გარდაქმნა ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბუღალტრული აღრიცხვა ასრულებს პრინციპულად სხვა როლს, აქედან გამომდინარე, იგი უნდა წარმოდგეს ისეთი სისტემით, რომ აკმაყოფილებდეს ბიზნესის გაფართოებულ, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მოთხოვნებს.

ბუღალტრული აღრიცხვა არის სამეურნეო საქმიანობაზე დაკვირვების, გაზომვისა და რეგისტრაციის უწყვეტი პროცესის ასახვა ამ პროცესებზე რაციონალური ზემოქმედების მიზნით. ის ინფორმაციის შეგროვებისა და მისი ღირებულებით საზომში განზოგადების საშუალებაა. ამდენად, აღრიცხვა ციფრობრივი ენაა, რომელიც ღრმად განზოგადებს განხორციელებული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგებს.

მსოფლიო პრაქტიკაში დასაბუთებულია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც საინფორმაციო მასალების შემუშავება ელექტრონული, კომპიუტერული სისტემით ხდება, დროული, სწორი და ობიექტური ინფორმაცია საფუძველია ეკონომიკის ცალკეულ დარგებსა და მთლიანად საზოგადოებაში განვითარების მაღალი მაჩვენებლების მიღწევისა. აქედან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვის მთავარი ამოცანაა დროული, ნათელი, სწორი, ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს საბაზრო ურთიერთობის ყველა მონაწილეს, ყველა დაინტერესებულ პირს.

საერთაშორისო ეკონომიკური, სავაჭრო და სხვა სახის ურთიერთობების განვითარებამ და მსოფლიო სისტემის დარგთა სპეციალიზაციამ, კონცენტრაციამ და ინტეგრაციამ საჭიროება წარმოქმნა შექმნილიყო ბუღალტრული აღრიცხვის მსოფლიო სანიმუშო ერთიანი სისტემა, დამუშავებულიყო ერთიანი უნიფიცირებული ბუღალტრული აღრიცხვის, კერძოდ საფინანსო აღრიცხვის სტანდარტების სისტემა. ასეთმა მოთხოვნებმა ასახვა ჰპოვა აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში (ბასს). 1973 წელს შეიქმნა ბასს - “ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი”, რომლის მთავარი მიზანი იყო, სხვადასხვა ქვეყნების სტანდარტების უნიფიცირების საფუძველზე დაემუშავებინა და შეექმნა აღრიცხვის ერთიანი სისტემა, რაც ხელს შეუწყობდა ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას მსოფლიოში.

კომიტეტის (ბასსკ) მიმართვაში მოთხოვნილი იყო, რომ ყველა ქვეყანაში შექმნილიყო სააღრიცხვო ინფორმაციის მიღების, დამუშავების, ანალიზის ერთიანი უნიფიცირებული სისტემა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) სახით, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებდა და გაამარტივებდა საფინანსო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას საერთაშორისო დონეზე. ბასსკ-ს დღეისათვის დამუშავებული აქვს 50-მდე საერთაშორისო სტანდარტი, რომლებშიც მოცემულია ფინანსური ანგარიშგების შედგენის ძირითადი პრინციპები, ფინანსური ინფორმაციისა და ანგარიშგებისადმი წაყენებული მოთხოვნები.

ფინანსური ანგარიშგების შედგენასთან დაკავშირებით ცალკეულ ქვეყნებში არსებობს საკუთარი თავისებურებებით განპირობებული განსხვავებანი, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმრავლესობა აღიარებს ბასს-ით გათვალისწინებულ სტანდარტებს, მათ ძირითად მიზნებს და ამოცანებს. საქართველო 1999 წლის 5 თებერვალს მიღებული კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს აღიარებს საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებად. თუმცა, ეს რასაკვირველია ვერ იძლევა ქვეყანაში აღრიცხვის სისტემის მოწესრიგებისა და გამართული ფუნქციონირების გარანტიას. ამისათვის საჭიროა სისტემური მუშაობა და უპირველეს ყოვლისა მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება, რომელთა ნაკლებობა ქვეყანაში ჯერ კიდევ საკმაოდ საგრძნობია.

ბუღალტრული აღრიცხვის სფეროსთან უშუალოდ არის დაკავშირებული აუდიტის სფეროც, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის შედარებით ახალი დარგია. აუდიტორული საქმიანობის დანერგვა ქვეყანაში დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში და ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფერო იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ გაცილებით ეფექტური იქნება მათი განვითარებისა და სრულყოფის ერთიან კონტექსტში განხილვა, ვიდრე ცალ-ცალკე.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალი დონის ზოგადი და პროფესიული განათლების კადრები ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტში, რომელთაც ექნებათ შესაძლებლობა:

- დამოუკიდებლად გააანალიზონ ფინანსური აღრიცხვის მთლიანი სისტემა და დასახონ კონკრეტული გზები მისი ეფექტურობისა და ოპერატიულობის გაზრდისათვის;
- უზრუნველყონ ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეურნეო სუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება და იმპლემენტაცია;
- შეიმუშავონ ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეურნეო სუბიექტში დანახარჯთა კალკულაციის სქემები და ზედამხედველობა გაუწიონ მათ გამოყენებას, ასევე შეაფასონ მათი ეფექტურობა და დასახონ ღონისძიებები მისი გაზრდისათვის;
- სათანადო პრაქტიკული გამოცდილების დაგროვების შემდეგ, წარმატებით გაიარონ აუდიტორთა სასერტიფიკატო გამოცდის ის ნაწილი, რომელიც შეეხება ბუღალტრულ აღრიცხვას და აუდიტს, რაც თავის მხრივ მისცემთ შესაძლებლობას დამოუკიდებლად გასწიონ აუდიტორული მომსახურეობა;
- შეაფასონ ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეურნეო სუბიექტის ფინანსური სტაბილურობის ხარისხი თანამედროვე მეცნიერული მეთოდებისა და სპეციალური ელექტრონული საშუალებების გამოყენებით;
- ეფექტურად გამოიყენონ საინფორმაციო სისტემები (ელექტრონული პროგრამები) ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისათვის, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, აუდიტორული შემოწმების ჩატარებისათვის.

სწავლის შედეგები

პროგრამის ძირითადი მიზნის მიღწევის პროცესში მაგისტრებს გამოუმუშავდება შემდეგი კომპეტენციები და უნარ-ჩვევები, რაც განსაზღვრავს საბუღალტრო აღრიცხვაში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაციას:

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც მისცემს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, გააცნობიერებს ცალკეული სააღრიცხვო პრობლემის არსს და დასახავს მათი გადაჭრის გზებს. კერძოდ, მაგისტრს ეცოდინება:

- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები;
- ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების თანამედროვე მეთოდები, ანალიზისა და აუდიტის ჩატარების ტექნიკა;
- თანამედროვე პროგრამები, რომლებიც აუცილებელია ეკონომიკური ამოცანების პროგნოზირებისა და რეგულირებისათვის;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- აუცილებელი ინფორმაციის საფუძველზე სწორი მენეჯერული გადაწყვეტილებების მომზადების ტექნიკა;
- პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნები და შეძლებს გააცნობიეროს მათი პრაქტიკაში გამოყენების ასპექტები;
- არსის, მიზნებისა და მოდელების შემუშავების მეთოდები ფინანსური პროცესების კვლევისათვის მიკრო და მაკრო დონეზე;
- სამეცნიერო კვლევის ლოგიკური მეთოდები და ხერხები;
- სამეცნიერო პრობლემის გადაწყვეტის პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

პროგრამის წარმატებით გავლის შედეგად კურსდამთავრებულს შეეძლება ახალ, გაუთვალისწინებელ და ძნელად პროგნოზირებად ეკონომიკურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, რითაც ისინი შეძლებენ:

- დაასაბუთონ მმართველობითი გადაწყვეტილებები სათანადო მეთოდების გამოყენებით;
- მოახდინონ კონკრეტული ფინანსური მაჩვენებლების განვითარების პროგნოზირება მაკრო და მიკრო დონეზე;
- მოამზადონ ორგანიზაციის საქმიანობის ცალკეული მიმართულებების ან/და მთლიანად ორგანიზაციის აუდიტის გეგმა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- მოახდინონ საფინანსო-ეკონომიკური რისკების შეფასების საფუძველზე ეკონომიკური აგენტების ქცევის სტრატეგიის დასაბუთება;
- მიიღონ მმართველობითი გადაწყვეტილებები და საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა ამ გადაწყვეტილებებზე;
- გამოიყენონ თანამედროვე ელექტრონული საშუალებები (პროგრამები) საფინანსო-სააღრიცხვო მაჩვენებლების ანალიზისა და შეფასებისათვის, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარგენისათვის;
- მოახდინონ სამეცნიერო კვლევის შედეგების გაზრება თანამედროვე მეთოდოლოგიურ საფუძველებზე;
- გამოიყენონ ლოგიკის კანონები და ხერხები არგუმენტაციის მიზნით სამეცნიერო დისკუსიებსა და ყოველდღიურ ურთიერთობაში

დასკვნის უნარი

პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში მაგისტრს ექნება რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების

ჩამოყალიბების, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი; აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში მიმდინარე მოვლენების როგორც მიკრო, ასევე მაკრო დონეზე შეფასების და დასკვნების გაკეთების უნარი.

კომუნიკაციის უნარი

პროგრამა მაგისტრს ჩამოუყალიბებს ისეთ უნარებს, როგორცაა: საჯარო გამოსვლისა და მეცნიერული მეტყველების უნარი; ქართულ და უცხო ენაზე საქმიანი კომუნიკაციის უნარი, სხვადასხვა სახის საფინანსო-სააღრიცხვო დოკუმენტების ელექტრონული ფორმით გაგზავნის, მიღებისა და დამუშავების უნარი და ა.შ.

სწავლის უნარი

პროგრამა მაგისტრანტს ჩამოუყალიბებს: სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიულად დაგეგმვის უნარს, საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლებისა და პროფესიული კვალიფიკაციის სისტემატიური ზრდის უნარს, პროფესიული სიახლეების ათვისების უნარს და ა.შ.

ღირებულებები

პროგრამა მაგისტრანტს ჩამოუყალიბებს ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასებისა და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარს, მაგისტრს შეეძლება კრიტიკულად შეაფასოს როგორც საკუთარი, ისე კოლეგების დამოკიდებულება პროფესიული ღირებულებებისადმი (კომპეტენტურობა, პატიოსნება, ობიექტურობა და ა.შ.).

დასაქმების სფერო

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს წარმატებით შეეძლება დასაქმება საშუალო და მაღალი დონის მმართველობით რგოლებში, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორებში, ბიზნეს ორგანიზაციებში, არასამთავრობო სექტორში, სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში და ა.შ. კერძოდ:

- ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომპანიების ეკონომიკურ, ფინანსურ და ანალიზის სამსახურებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე;
- სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების საფინანსო, საგადასახადო და საკონტროლო-სარევიზიო სამსახურებში;
- აუდიტორულ და ბიზნეს საკონსულტაციო ფირმებში;
- შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო ორგანიზაციებში;
- საერთაშორისო და ტრანსნაციონალური კომპანიების საფინანსო და საბუღალტრო აღრიცხვის სამსახურებში;
- სხვადასხვა სახის ფინანსური ინსტიტუტების საკრედიტო და საბუღალტრო აღრიცხვის სამსახურებში და სხვა.

სწავლების მეთოდოლოგია

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მიხედვით დისციპლინების შესწავლა ეფუძნება თანამედროვე განვითარებულ სახელმწიფოებსა და საქართველოში დაგროვილ საუკეთესო გამოცდილებას, თეორიასა და პრაქტიკას საბუღალტრო აღრიცხვის სფეროში. სპეციალური პროფესიული დისციპლინები ისწავლება სწავლების პირველივე წლიდან.

სასწავლო პროცესში აქტიურად იქნებიან ჩართული სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორის, სხვადასხვა ბიზნესორგანიზაციების, საფინანსო-ეკონომიკური სფეროს წარმომადგენლები, სხვადასხვა უნივერსიტეტების და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრების წამყვანი სპეციალისტები.

სწავლების სტრუქტურა ეფუძნება ლექცია-პრაქტიკულების ჩატარებას. სალექციო მეცადინეობების შედეგები ასახვას პოულობს ცალკეული თემის თეორიული არსის გააზრებასა და მიღებული შედეგების განზოგადებაში. ლექციებზე მაგისტრანტები მონაწილეობას მიიღებენ დებატებში, ხოლო ცოდნის

გაღრმავება, დაკონკრეტება და კონკრეტული საკითხების განხილვა მოხდება პრაქტიკულ მეცადინეობებზე. თეორიული მასალის მომზადებასთან ერთად სწავლება ითვალისწინებს წერილობითი დავალებების შესრულებას. ეწყობა შუალედური და საბოლოო გამოცდები. პროფესიული უნარ-ჩვევების განმტკიცების მიზნით, მაგისტრანტები გაივლიან პრაქტიკას შესაბამის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. მეოთხე სემესტრის მანძილზე დაამუშავებენ სამაგისტრო ნაშრომს და დასაცავად წარადგენენ კომისიის წინაშე.

მოცემული პროგრამის მიხედვით მეცადინეობები ტარდება სწავლების თანამედროვე აქტიური მეთოდების - კონკრეტული სიტუაციების ანალიზის, პრაქტიკული სავარჯიშოების, საქმიანი ქაღალდების ანალიზის, საქმიანი თამაშების, ჯგუფური პროექტების, პრობლემებისა და მიზნების ხის, „ქმედებით სწავლების“ და სხვათა მიხედვით. მოცემული მეთოდიკა საშუალებას აძლევს მაგისტრანტებს აითვისონ შესასწავლი დისციპლინები და განავითარონ კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, შეიძინონ ჯგუფური მუშაობის გამოცდილება, გამოიმუშავონ ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარი და ა.შ.

შეფასება

შეფასება არის საგნის, მოვლენის ან პროცესის შესაბამისობის განსაზღვრა წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებთან. შეფასების საშუალებით უნდა დადგინდეს სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამით დასახულ შედეგებთან, ამ მიზნით გამოყენებული იქნება შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია იმის დადგენა, რომ სტუდენტმა განავითარა ის უნარები, რომელიც აუცილებელია ბიზნესკონტექსტში პრობლემების გადასაჭრელად, შეუძლიათ თუ არა წანამდგრებისა და პირობების ფორმულირება, კვლევის საკითხის დასმა, ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება. შეუძლიათ თუ არა შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება, საკუთარი საქმის ორგანიზება და თავისი შედეგებისა და რეკომენდაციების გადაცემა და არგუმენტირება/დაცვა. შეფასება უნდა იყოს, როგორც შემაჯამებელი ხასიათის, ასევე მაფორმირებელი (უკუკავშირის მიმცემი).

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

შეფასების სტრუქტურა, საგნის ფარგლებში, ორ ელემენტად იყოფა - შუალედური და შემაჯამებელი. შუალედური ელემენტი შეიძლება დაიყოს კომპონენტებად, რომლებსაც, აგრეთვე, თავისი წილი აქვს ამ ელემენტის ფარგლებში.

ყოველი კონკრეტული შეფასება ორივე ელემენტის ჯამურ შედეგებს ეყრდნობა.

შეფასების მინიმალურ დადებით ქულად ითვლება 51.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების ინსტრუმენტს წარმოადგენს გამოცდა. გამოცდამ უნდა აჩვენოს, თუ რამდენად კარგად აითვისა სტუდენტმა შესაბამისი კურსი.

უნივერსიტეტში გამოცდები ტარდება მხოლოდ წერილი ფორმით.

სტუდენტის საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობები:

- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა;
- რეფერატის (ესსეს) დაწერა/წაკითხვა, ნაშრომის მომზადება/პრეზენტაცია და სხვა. ეს ნიშნავს, იმას, რომ, თუ სტუდენტს არა აქვს ჩაბარებული რეფერატი, ან კურსის ხელმძღვანელის მიერ მიცემული სხვა დავალება, ის არ დაიშვება ფინალურ გამოცდაზე, ვიდრე არ წარმოადგენს აღნიშნულ რეფერატს, იმ შემთხვევაშიც კი თუკი სხვა აქტივობების ჯამით უგროვდება დასკვნით გამოცდაზე დაშვებისათვის საკმარისი ქულები;
- ქუ-ის შინაგანაწესისა და ხელშეკრულების პირობების დაურღვევლობა.

შეფასების სისტემა

შეფასება ხდება ქულათა სისტემით. ყოველი კომპონენტის (გარდა დასწრება-აქტივობებისა) მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას.

სტუდენტის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ მის მიერ უშუალოდ დამამთავრებელ გამოცდაზე მიღწეული წარმატება, არამედ მთელი კურსის დროს ნაჩვენები შედეგები.

საკრედიტო შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი - ნიშანი A (ფრიადი)
- მაქსიმალური შეფასების 81-90% - ნიშანი B (ძალიან კარგი)
- მაქსიმალური შეფასების 71-80% - ნიშანი C (კარგი)
- მაქსიმალური შეფასების 61-70% - ნიშანი D (დამაკმაყოფილებელი)
- მაქსიმალური შეფასების 51-60% - ნიშანი E (საკმარისი)

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

- მაქსიმალური შეფასების 41-50% - ნიშანი FX (ვერ ჩააბარა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა, მაგრამ არაუმეტეს 1 თვის.

- მაქსიმალური შეფასების 41% და ნაკლები - ნიშანი F (ჩაიჭრა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ქუ-ში სამაგისტრო პროგრამა დასრულებულად ითვლება, თუ სტუდენტმა მოაგროვა პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და წარმატებით დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი.

GPA (Grade Point Average) გამოთვლის წესი

GPA	ქულა
4.0	91%-ზე მაღალი
3.7	85 - 91%
3.3	81 - 84.9%
3.0	75 - 80.9 %
2.7	71 - 74.9%
2.3	61 - 70.9%
2.0	51 - 60.9%
1.7	41 - 50.9%
1.3	30 - 39.9%
1.0	20 - 29.9%
0.0	0.0 - 19.9%

GPA ინდივიდუალური კურსისთვის:

GPA-ს მინიჭება ყოველი ინდივიდუალური სასწავლო კურსისათვის ხდება ზემოთ მოყვანილი ცხრილის საფუძველზე, მაგალითად თუ სტუდენტმა მიიღო 88 ქულა, მაშინ მისი GPA არის 3.7.

როგორ გამოითვლება კუმულატიური (დაგროვილი) GPA?

სემესტრის ან სასწავლო წლის ბოლოს სტუდენტის კუმულატიური GPA გამოითვლება ფორმულით:

კუმულატიური GPA = საერთო ქულათა ჯამი / ათვისებული კრედიტების ჯამი

საერთო ქულა = **ინდივიდუალური GPA X კურსის კრედიტი**

მაგალითად, ვთქვათ, აიღეთ ორი 3 კრედიტიანი სასწავლო კურსი და მათში შესაბამისად მიიღეთ 88 ქულა (GPA 3.7) და 78 ქულა (GPA 3.0), მაშინ კუმულატიური GPA ამ ორი კურსისთვის იქნება:

საერთო ქულათა ჯამი = (3.7 X 3კრ.) + (3.0 X 3კრ.) = 11.1 + 9.0 = 20.1

ხოლო კუმულატიური GPA = 20.1 / 6 = 3.33

ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის მთლიანი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება კუმულატიური GPA, რის მიხედვითაც ქუ კურსდამთავრებულებს აძლევს შემდეგი ხარისხის დიპლომებს:

- **GPA 3.7 და მეტი** - წარჩინების დიპლომი: კომპენტენციის მაღალი დონით და ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარით.

- ყველა საგანში დადებითი შეფასება და **GPA 3.7-ზე ნაკლები**- ჩვეულებრივი დიპლომი

დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს საგნის გადაბარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს სამი საგნისა. ასეთ შემთხვევაში ის იხდის საგნის იმ ღირებულებას, რაც არის დადგენილი საგნის ხელმეორედ აღების პერიოდისათვის.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

უნივერსიტეტს საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გააჩნია საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: კეთილმოწყობილი სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შენობა-ნაგებობები აღჭურვილია პროგრამის შესაბამისი ინვენტარით.

ადამიანური რესურსები

1. იოსებ არჩვაძე - სრული პროფესორი
2. დეზი მაღლაკელიძე - ასოცირებული პროფესორი,
3. გურამ უფლისაშვილი - ასოცირებული პროფესორი
4. გოდერძი შანიძე - ასოცირებული პროფესორი,
5. ნაირა ვირსალაძე - ასოცირებული პროფესორი,
6. ხათუნა შალამბერიძე - ასოცირებული პროფესორი,
7. თეა კორძაძე - ასოცირებული პროფესორი,
8. ციციხოველიანი დავითი - ასოცირებული პროფესორი,
9. პაატა კლდიაშვილი - ასისტენტ-პროფესორი
10. თეა ვალიაშვილი - ასისტენტ-პროფესორი
11. ნათელა ვაშაკიძე - მოწვეული, ე.ა.დ., აწსუ ასოცირებული პროფესორი
12. მირზა ხიდაშელი - მოწვეული, ქუ-ს დოქტორანტი,
13. იაგო ბალანჩივაძე - მოწვეული, აწსუ ასოცირებული პროფესორი
14. ნანა ლუხუტაშვილი - მოწვეული, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, ტ.ა.დ
15. ოთარ შენგელია - მასწავლებელი
16. ეკატერინე ვაწაძე - მასწავლებელი
17. ანა ტყეშელაშვილი - მასწავლებელი